ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№33 (1471) 25-29 ივლისი, 1996 წელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



მინევ-მოწევის დროს ჯაბამ გამწარებით მოგაძახა: „ჩემი მოთრეულები ხართ ყველანი აქ, ხელისუფლებაში“-ო

მე - 2 გვ.



წინ! წინ! ქვეყნის გაჩანაგებისა და დაქუცმაცებისაკენ!..

მე- 4 გვ.

დაჭრეს ყოფილი გამგებელი, თუმცა «საქმე» ერთობ გაასაიდუმლოეს

მე - 5 გვ.

წაიკითხეთ ეს წერილი მეანაბრეებო და მიხვდებით, რა მექანიზმებით გაღატაკდით თქვენ და ზოგჯერ იმ ბანკის მმართველნიც, რომლებზეც შემდეგ ყველაფერი ტყდებოდა...

მე- 5 გვ.

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

მეთორმეტე შეკითხვა: თქვენ პირადად ახლო ურთიერთობაში იყავით ჯაბა იოსელიანთან. 1995 წლის 25 აგვისტოს ტერაქტზე რას იტყვით?



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 26,27,28,29,30,31,32

ვახტანგ გოგუაძე: მიწევ-მოწევის დროს ჯაბამ გამწარებით მომაძახა: „ჩემი მოთრეულები ხართ ყველანი აქ, ხელისუფლებაში“-ო

— **ჯაბას** ვიცნობდი 1975 წლიდან. ჯაბაზე ლეგენდები დადიოდა, როგორც სათავგადასავლო სამყაროდან მოსულ ინტელექტუალზე. ერთხელ ზვიადისა და ჩემმა საერთო მეგობარმა მიამბო, ზვიადს ძალიან აინტერესებდა მისი თავგადასავალი, მაგრამ რამდენჯერაც ჩამოვუგდე ამ თემაზე სიტყვა, ჯაბამ სულ ფილოსოფიაზე გადამიტანა ლაპარაკი. არც მე მიამბობდა ამ თემაზე რაიმეს. ერთი ორჯერ რომ ვკითხე, გაიცინა, — „რა დროს ეგ არის იუზგარ“...

ვთქვათ პირდაპირ: იგი მეგობრობდა ზვიად გამსახურდიასთან და ედუარდ შევარდნაძესთან, ბნელ სამყაროსთან და სამეცნიერო-შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

ერთი გახსენება. 1990 წლის 23 ნოემბერს, აღტყინებული მოძრაობა ზვიადის მეთაურობით ცხინვალზე დაიძრა. რამდენი ათასი კაცი იყო, ძნელია ვთქვათ, მეტისმეტად განსხვავებულ ციფრს ამბობენ. ჯაბამ მითხრა, უნდა წავყვე ჩემი ბიჭებით, რაღაც უბედურება არ ატეხონ იქაო. ჯაბას პოზიცია ამ მხრივ ყველამ იცის, ოსებთან ომისა და გამწვავების წინააღმდეგი იყო. მეც გავყევი. იმ ღამეს ცხინვალის მისადგომებთან მილიციის მიერ იქნა შეჩერებული რამდენიმე ათასი მშვიდობიანი, უიარაღო მოლაშქრე.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე, იქვე, ცხინვალის მისადგომებთან, მიტინგი გაიმართა. მაგრამ პარალელურად ზვიადი ორგანიზაციულ სამუშაოებს ატარებდა. დიდ ავტობუსში კომპლექტდებოდა ცხინვალში გასაგზავნი დელეგაციის 10-კაციანი სია. ზვიადი ადგენდა, ნაწილს ჯაბა კარნახობდა. მეც შემიყვანეს იმ სიაში. ბოლოს ჯაბამ შესთავაზა — მეც გაკყვები მაგათს.

— არა, არა, ჯაბა, შენ აქ ხომ უნდა დაგვიცვა!

ეს იყო იმ წამიერი შეშფოთებით ნათქვამი, იმდაგვარად ნათქვამი, კაცის სამუდამო იმედი რომ გაქვს.

ეს შესვლა დელეგაციისა არ შედგა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საქართველოში მტრებად არ იბადებოდნენ. მერაბ კოსტავას დაღუპვამდე ჯაბას ჰქონდა 20 კაცის სია შედგენილი, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა და გავლენიან პირთა შემადგენლობით. ადგენდა ერთიანობის, ეროვნული კონსოლიდაციის გეგმას. რაღაცას მეც მეკითხებოდა. რა თქმა უნდა, ზვიადი საქმის კურსში იყო. მერაბის დაღუპვის შემდეგ იმ ჩანაფიქრმა აზრი დაკარგა.

კიდევ ერთი ეპიზოდი: 1990 წლის თებერვალში (ჟურნალისტის სახლში) რომელიღაც სხდომაზე ვიჯექით. ჯაბა მეუბნება, რას იტყვი, მიტევებისა და ერთიანობის დიდი დემონსტრაცია რომ ჩავატაროთ. წინადადება მოვუწონე. მე დამევალა მიმართვის ტექსტის შედგენა.

ვზივართ უნივერსიტეტში, ჩემს კაბინეტში, ჯაბა და ორიოდ სხვა პირი. ამ დროს ზვიადი შემოვიდა კაბინეტში. ჯაბა რომ დაინახა, მთლად არ ესიამოვნა, მაგრამ უკან არ გაბრუნებულა. ხელიც ჩამოართვეს და ფილოსოფიურადაც გაულიმეს ერთმანეთს.

— ზვიად, ახლა უნდა დამერეკა შენთვის. ახლა ურთიერთმიტევებისა და ერთიანობის მიმართვის ტექსტს წავიკითხავ.

— კი მაგრამ ეკლესიას ხომ აქვს სინანულის დღე?

— 25 თებერვალს იყო, მაგრამ ეკლესიისაგან განსხვავებული თავისებურება აქვს მას, ცხადია, არანაირად ანტიეკლესიური. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია.

ტექსტი წავიკითხე. ზვიადმა თქვა კარგიაო, მაგრამ რაღაც მოიმიზეზა, ყოველ შემთხვევაში ჩანაფიქრი და ტექსტი ვერ დაიწუნა. მაგრამ ხელი არ მოაწერა. ტექსტი გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“, ხოლო დათქმულ მრავალათასიან მიტინგს 19 მარტს უნივერსიტეტის ეზოში თქვენი მონა-მორჩილი უძღვებოდა. მიტინგის შემდეგ მრავალათასიანი დემონსტრაცია უაღრესად მშვიდი, ქრისტიანული სახეებით სიონს გაემართა. პატრიარქმა აკურთხა იგი.

ასე რომ, საქართველოში მტრებად არ იბადებოდნენ. სატანა მერე თესავდა ერთმანეთში ღვარძლსა და შურს, როცა ხელისუფლების სათავეებისაკენ მიმავალი კიბე ვიწროვდებოდა.

როცა ზვიადი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ერთობ აგრესიული გახდა, თუმცა აგრესიულობა არც ადრე აკლდა. ჯაბა დაიჭირა. ბატონი აკაკი ბაქრაძის ხელმძღვანელობით ინტელიგენციის ღირსეულმა, თვალსაჩინო ნაწილმა ხელი მოაწერა მისი გათავისუფლების მოთხოვნას. ბევრი პიროვნება, რომელიც ჯაბას გვერდით იდგა და რომელთა გვერდითაც იდგა ჯაბა, დღეს აგინებს ჯაბას. ისტორიას კი სიმართლე უყვარს. მე არ დამიკლია მისი გათავისუფლებისათვის არც „ინტერნეიშენალ ამნისტიონ“, გამოვედი მიუნხენში „თავისუფლების ხმით“, წერილი მივწერე ბატონ ბუშს, ბატონი გია ჭანტურიას წინადადებით და შუამავლობით. წერილმა კიდეც მიაღწია ადრესატს. ჩვენ ყველანი თავს ვიცავდით და ამიტომაც ვიცავდით ჯაბას. ზვიადის პრეზიდენტად არჩევის წინ, ჩვენი ინტელიგენციის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინადადებას — წამოყენებულიყო პრეზიდენტის კანდიდატურად ჯაბა იოსელიანი, ასეთი იყო მაშინდელი რეალობა.

ახლა, როცა ჯაბას ბრალი ედება ტერაქტის მოწყობაშიც (კაცმა რომ თქვას, რაში არ ედება მას ბრალი?!) ზოგსა ჰგონია, ვაი, თუ პრეზიდენტმა გაუგოს, რომ ოდესმე ჯაბასთვის ხელი ჩამოურთმევია. ჯაბა ბოლო წლებში ყველაზე ახლოს ბატონ ედუარდთან იყო, მისი მეგობარი იყო და არა ჩემი. მე მას ვმეგობრობდი, როცა დევნილი იყო. როცა 1991 წლის 27 დეკემბერს ციხიდან გამოვიდა, მას შემდეგ მე მას არც ვმეგობრობდი და არც ვმტრობდი. მას იმდენად გაუტკბა ძალაუფლება, რომ მისთვის თავგადადებული პატიოსანი მეგობრები დაივიწყა. მე არ მეგონა, თუ მადლიერების გრძნობა თანამედროვე პოლიტიკოსებივით ღალატობდა. რამდენიმეჯერ შევეხვეწე — აი იმ ხალხს, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, ვინც დიდი რისკი გაწია და ხელი მოაწერა შენი გათავისუფლების მოთხოვნას — გამოუცხადე მადლობა. ყოველ დღე ტელევიზორში ხარ და ინტერვიუთი მაინც თქვი. მაგრამ არა, როგორც ჩანს, იგი აქეთ იმადლებოდა თავის ღვაწლს. გასული წლის პარლამენტის სხდომაზე, თუ არ ვცდები მაისში, რომ იტყვიან ჟარგონით, ძალიან გაუტია. ამნისტიის საკითხი იხილებოდა, სხდომა ჩემს მოადგილეს მიჰყავდა. ცდილობდა ძალით დაეშინებინა პარლამენტი და მეც წამოვუხტი. მიწევ-მოწევის დროს გამწარებით მომაძახა — „ჩემი მოთრეულები ხართ ყველანი, აქ, ხელისუფლებაში“. ეეჰ, ჩემო ჯაბა, ვინ ვის სად მოათრევს და სად მიათრევს — ამაზე იტყვიან, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. შემდეგ შევრიგდით, მისი დაბადების დღეს, 10 ივლისს, შარშანაც ვიყავი და წელსაც. წელს 70 წელი შეუსრულდა. მე ისტორიაზე გავლენა არა მაქვს. არც წარსულს უყვარს შეფერადება-გალამაზება და არც აწმყოს. ჩემი სპიკერობის დროს, ჯაბა რეალურად მეორე კაცი იყო სახელმწიფოში. მას ბატონ ედუარდთან უახლოესი ურთიერთობა ჰქონდა. ჯაბამ საკმაოდ ბევრი თანამდებობის პირი დაანიშნინა ბატონ ედუარდს. მე დეპუტატთა ასკაციანი მოთხოვნით დავანიშნინე სამი გამგებელი. ისევ თუ ვინმეზე რეკომენდაცია გამიწევია, ჭკუაში მოსვლია პრეზიდენტს და მასთან არიან, აი იმათ ვერიდები, ყველაზე საშიში ისინი არიან, თუ სადმე წავაწყდი, წელში რომ მოიკუნტებიან და სად აორთქლდნენ, არ იციან (რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმის). ზვიადის დროს უნდა გენახათ, როგორ ცარიელდებოდა ჩემს ირგვლივ. მართალი გითხრათ, მეც ვერიდებოდი ყველას, ჩემი გულისთვის საქმე არ წახდენოდათ. რა საცოდავია ადამიანი, განსაკუთრებით ხმამაღალი აზრი რომ აქვს თავის ვაჟკაცობაზე. თანამემამულენო, ამისთანა ნურც თანამდებობა გინდოდეთ და ნურც ფული.

გახსოვთ ალბათ, სახელმწიფოს მეთაურსა და ჯაბას შორის ბოლო პერიოდში, ურთიერთობა გამწვავდა. გახსოვთ მათ შორის გამართული კაფიობა — „ჯაბა ჩემი მეგობარი“, „არა მე არ ვიყავი ჯაბას მეგობარი“, „არა, მე არ ვიყავი შევარდნაძის მეგობარი, ის იყო ჩემი მეგობარი“. კარგი იქნებოდა ლექსად ყოფილიყო ეს შაირობა. მაგრამ შევხედოთ ისტორიას თვალებში, ისე წინ ვერ წავალთ. როცა ბატონი ედუარდი ჩამოვიდა საქართველოში 1992 წლის 7 მარტს, ეს ხომ ჯაბას ინიციატივაც, ამ სამეულისაგან თანხმობა კი არა, მოწვევა იყო. სამი კაცი: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი მართავდნენ ქვეყანას. ეს ხომ ფაქტია, მოგწონს თუ არა. 2-3 წელი, ძველ პრესას თუ გადავფურცლავთ, საოცარი ლირიული სი-

გაგრძელება მე -3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

თბოთი, ქათქათა კბილებით, სრული ღიმილ-სიცილით გაცისკროვნებული ეხვეოდნენ ერთმანეთს ოთხეულნი. ხელიხელ მოხვეული სახელმწიფოს მეთაური და „ჩემი მეგობარი თენგიზი“, „ჩემი მეგობარი თენგიზი“ (მეორე), „ჩემი მეგობარი ჯაბა“... გადის დრო და „ჩემი მეგობრები“ ორთაჭალის ციხეში ამოჰყოფენ თავს. იქ, სხვათაშორის, ბევრი „მეგობარი“ ჰყავს მეთაურს. ვერ დავადგინე, ამბობენ, 70-ზე მეტი ორდენოსანი, ბატონი ედუარდის მიერ ხელდასმული ორდენოსნები სხედან საკანში. ასე რომ, იქ მალე გაისხნება ცალკე ციხე — „ჩემი მეგობარი“. მე უნდა ამჯერადაც მომიტევოს პრეზიდენტმა. ერთი ეპიზოდი. პირდაპირი ტელეფონით ვსაუბრობ ბატონ ედუარდთან.

— ბატონო ედუარდ, ერთი მეგობარი მეუბნება, თუ იცი შევარდნაძეს რატომ არ უყვარს შენი სახელისა და გვარის ხსენება, მე დაკვირვებული ვარ, რომ ჩამოთვალოს მაგიდასთან მსხდომი ხუთი კაცის სახელი, შენ გამოგტოვებსო. მე ვკითხე — რატომ. მან ამიხსნა, შევარდნაძეს ასეთი სტილი აქვს, „ჩემი მეგობარი ჯაბა“, „ჩემი მეგობარი თენგიზი“. გაიხედავ და სადღა „ჩემი მეგობარი“, „ჩემი მეგობარი“ ზის ციხეში. ბატონმა ედუარდმა ბევრი იცინა და მითხრა

— ამიტომ შენ მანამ არაფერი გეტკინოს, ვიდრე ჩემი მეგობარი არ დაგიძახოო. ასე რომ; მე არც ბატონი ედუარდის მეგობარი და არც ორდენოსანი არ გახლავართ. არც ერთ ხელისუფლებას ჩემთვის სიგელიც არ მოუცია. პატარა გადახედვა, ძვირფასო მკითხველო, რომ არ იფიქროთ, შურიანობსო. ქვა რომ ააგდო თბილისში, ორდენოსანს მოხვდება, რაღა შენა ხარ უკანასკნელიო. შალვა ნუკუბიძე რომ უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი, ქართველოლოგი, რუსთველოლოგი იყო, ჯერჯერობით ჩვენს მკითხველს ამის შეხსენებაც არ სჭირდება, მალე კი შეიძლება აღარც რუსთაველი იცოდნენ — ვინ იყო. შალვა ნუკუბიძე არ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი არჩევის დროს. შეხვდნენ ბატონ შალვას პროფესორები — გაკვირვებით ეკითხებიან, ეს რა გააკეთეს ამ უსინდისოებმაო. არა უშავს — რა, მე მირჩევნია ჩემზე იკითხონ — რატომ არ არის ის აკადემიკოსი, ვიდრე ის, ზოგიერთზე რომ კითხულობენ — რატომ არის ის აკადემიკოსიო. მეთვრამეტე საუკუნეში ფრანგებმა გააუქმეს წმიდა მიქაელის ორდენი, უკვე ბევრია გაცემული და ფასს დაკარგავსო. ყოველ შემთხვევაში ვახტანგ გორგასალს ბევრად რომ ჩამორჩებოდა, ეს ვიცი. მიშელ მონტენთან წამიკითხავს, მაგრამ არ მახსოვს რომელი იმპერატორი იყო, ფულს უხვად ჩუქნიდა სხვადასხვა დამსახურებისათვის, მაგრამ სიკვდილივით ეზარებოდა ორდენის გაცემა — ეს სახელის საქმეა, იშვიათი უნდა იყოსო. მე მჯერა, რომ ჩვენი ორდენოსნები ღირსეულნი არიან, მაგრამ მინდა ისინი „ჩემი მეგობარი-ს“ ორთაჭალის კონტიგენტში არ მოხვდნენ.

ჩვენი პოლიტიკა რომ ზნეობრივ-ადამიანურ საფუძვლებზე აგვეგო, მაშინ ცუდი კაცისაგანაც კი კარგი უნდა შეგვექმნა, მაგრამ როცა ხედავ, რომ ნორმალური კაცი ნორმის ქვევით ეშვება (ასეთია ძალზე ბევრი), ესაა ჩვენი ზნეობრივი ტრაგედია. იგივე ჯაბა და კიტოვანი, რომელთაც ჩამოიყვანეს ბატონი ედუარდი და ტახტი უბოძეს, დღეს რომ ციხეში არიან, პლიუსებს არ უწერს ჩვენს პოლიტიკურ კურსს. პოლიტიკასაც აქვს თავისი პედაგოგიკა. ერთი თეატრში, მეორე სამხატვრო ფუნჯთან უნდა დაებრუნებინათ. ამით მე არ ვერევი მათ სამართლებრივ მდგომარეობაში. დანაშაულისთვის ყოველთვის აგებს ადამიანი პასუხს, მაგრამ დანაშაულამდე არ უნდა მიიყვანო თანამებრძოლი. არ შეიძლება სიტუაციის მიხედვით გამოიყენო ადამიანი და შემდეგ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში მოისროლო. ხომ ტირანი იყო სტალინი და მის ფსიქოლოგიას რანაირად არ ხატავენ, მაგრამ ერთი კაცური, ქართული თვისება შეინარჩუნა. თავისი დამჩიჩული ძმაკაცები სამოქალაქო ომიდან მოყოლებული — ბუდიონოვი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი... და სხვები ბოლომდე შეინარჩუნა. ამიტომ მის ირგვლივ ადამიანური ნდობის ფაქტორი მთლად ისე არ იყო, როგორც ხატავენ. მის სიცოცხლეში რეკლამა არ გაუკეთებიათ, თუ როგორ ეხმარებოდა გორელ ძმაკაცებს უანგაროდ. ხომ ტირანი იყო ნაპოლეონი, მაგრამ ყველაზე მეტად უმადურობა სძულდა. მომაკვდავ დარიოსს პისისტრატემ წყალი მიაწოდა. იმპერატორმა დალია და თქვა, — აი ეს წუთი ჩემთვის ყველაზე მძიმეა, სამაგიეროს გადახდა რომ არ შემიძლიაო. ამას ყველაფერს იმიტომ მოგახსენებთ, — თუ როგორ და რატომ დაეცა ადამიანის ფასი საქართველოში. იგი კუპონის ფასიც აღარაა. ვინც ასამართლებს, მასაც გაასამართლებენ. უფალმა განგვიკითხოს ყველა!

1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საფიქრალი მოვლენაა. მან იმდენად კარგი სამსახური გაუწია არჩევნების წინ სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტს, რომ ვერ ინატრებდი უკეთესს. იმდენად, რომ აბსურდული ჭორებიც გავრცელდა, შევარდნაძემ თვითონ მოაწყო ეს ტერაქტი, რათა ანგარიში გაესწორებინა ყველასათვისო. მსგავსი თამაშები ხდება, მაგრამ ამ ტერაქტის ავტოტერაქტობა სრული აბსურდია. სექტემბერში, პეტერბურგში, პრეს-კონფერენციაზე ერთი ჟურნალისტი მეკითხება, — ამბობენ, ამ ტერაქტის წინ ბატონი შევარდნაძე მოწამლეს, რას იტყვით ამის თაობაზე, — შევარდნაძე მართლაცდა მოიწამლა ერთი ჭიქა შამპანურით, მაგრამ შამპანურის გარდა ეჭვი არავისზე მიუტანია. მართლაცდა იმ დღეებში ბატონი ედუარდი ძალზე სუსტად იყო, მაგრამ აფეთქების შემდეგ „как ни парадоксально, он стал гораздо крепким, чем раньше“. ამას ჟურნალისტების სიცილი მოჰყვა. სიმართლე გითხრათ, ამ ტერაქტმა ყველა აღაშფოთა, შევარდნაძის მოყვარულ-მოძულენი. რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო მეთაურის დალუპვას? ყველასათვის, პირველ ყოვლისა საქართველოსათვის, დიდი უბედურება. შევარდნაძე კი სახელით წავიდოდა, ვილაცა მოვიდოდა სისხლით და მალე ისიც სისხლით წავიდოდა, კარგა ხანს იქნებოდა ეს პოლიტიკური კოტრიალი. მადლობა ღმერთს, ეს არ მოხდა.

თუ ამ ტერაქტმა გარკვეულ დონემდე ბატონი ედუარდის სასარგებლოდ იმუშავა, რაღაც დროიდან დაიწყო აშკარად საწინააღმდეგო პროცესი. ყველამ ვიცით, რას ნიშნავს — „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლაო“. მაგრამ მოინდომეს ნამეტნავად ბევრი კურდღლის დახოცვა. იყო საწყისი მცდელობა, ანგარიში გაესწორებინათ ყველასათვის, ვინც განაწყენებული იყო სახელმწიფო მეთაურზე, ან პირიქით, თვითონ ვინც არ მოსდიოდათ თვალში და რაღაც პოლიტიკური, ან საზოგადოებრივი წონა გააჩნდა. დატრიალდა დამუშავებულ-დაკვეთილი ჭორებიც.

ბოლო ჟამს გამოჩნდა ტერაქტის მონა-

გაგრძელება მე-8 გვ.

ვაი, ჩვენო ქართვლის ბედო!

წინ! წინ! ქვეყნის გაჩანაგებისა და დაქუცმაცებისაკენ!..

არავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ რაც უფრო დემოკრატიული გზით არის კაცი თანამდებობაზე მოსული, მით უფრო შედეგიანია მისი მართვა. ჩვენში ყველამ იცის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, საქართველოს დანაწევრებისათვის მოგონილი სამხარეო გუბერნატორებიდან დაწყებული ქალაქებისა და რაიონების თავკაცებით დამთავრებული, დანიშვნითია. აქედან გამომდინარე, მართვის ამ სფეროში წარმოუდგენლად აყვავებულია კორუფცია და აღებ-მიცემობა, რომლის შედეგებიც იმდენად მძიმეა ქვეყნისათვის, რომ უფრო სამშობლოს ღალატს წააგავს, ვიდრე მარტოოდენ კორუფციას. უმაღლეს რანგშია აყვანილი არადემოკრატიულად დამჯდარი მმართველის ისეთი ქრესტომატიული თვისებები, როგორიცაა უპასუხისმგებლობა, არაკომპეტენტურობა, უვიცობა, დაუდევრობა, განუკითხავი თვითნებობა, თავხედობა, უსინდისობა, ხალხის მოტყუება, უსამართლობა და უკანონობა.

ამის დამადასტურებელ უტყუარ მაგალითს წარმოადგენს ზოგადად მთელს ქსნის ხეობაში, კერძოდ კი მისი მარცხენა შენაკადის ალეურას ხეობაში დატრიალებული ამბები, რომელსაც მოგითხრობთ.

11 ივლისს ახალგორის რაიონის სოფელ კორინთაში შეიკრიბნენ კორინთის (იგივე ალეურას) სახელმწიფო ფერმერულ მეურნეობაში შემავალი კორინთისა და გდუს საკრებულოს მაცხოვრებლები, შეკრებაზე დასასწრებად მიიწვიეს ამ ხეობის შვილი ნოდარ ნათაძე, შეკრებას აგრეთვე ესწრებოდნენ ახალგორის რაიონიდან პარლამენტის დეპუტატის წარმომადგენელი, რაიონის მთავარი მიწათმომწყობი, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რომელმაც შეკრება დაწყებისთანავე მიატოვა რაღაცის მომიზეზებით, ხოლო მისი წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ შეკრებას შემოუერთდნენ პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსის ერთ-ერთი მოადგილე და კორინთისა და გდუს საკრებულოს თავმჯდომარეები, შეკრებაზე სოფლის მიერ მოწვეულები იყვნენ და გაურკვეველი მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ ახალგორის გამგებელი ოლეგ ოდიშელიძე, რაიონული პოლიციის უფროსი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორინთის“ პრეზიდენტი.

შეკრების მიზეზი? — მარტივზე მარტივია. რამდენიმე კაცს, — რა თქმა უნდა, დანიშნულ ხელისუფალთა ამფსონებს, კარგი მადა აღმოაჩნდათ და სოფელს ჯაყოებად, ყვარყვარეებად და ჯაყო-ყვარყვარეს ნაჯვარებად მოევლინენ, რათა ქსნის ერისთავთა ტახტი დაიკავონ (როგორც თავად აცხადებენ) და გაურჯელად, სისხლისა და ოფლის დაუღვრელად (ერისთავთაგან განსხვავებით), გონებისა და სინდისის მოუხმარებლად აქაური მაცხოვრებლები დედაწულიანად თავის ყმებად გაიხადონ.

აი, ამ მოკლეფაცება ავანტურის ისტორია.

კორინთის კოლმეურნეობა სახელმწიფო ფერმერულ მეურნეობად გადაკეთდა (სწორი თუ ყალბი ოქმის საფუძველზე — ღმერთმა უწყის) და მის დირექტორად დაჯდა ახალგაზრდა კაცი თამაზ ჯამრიშვილი, სოფლში გაზრდილმა ახალგაზრდამ იშვიათი იურიდიული გამჭრიახობა გამოიჩინა და, როგორც დირექტორმა, საიჯარო ხელშეკრულება დაუდო თავის თავს, როგორც ფირმის („შპს „კორინთის“) ერთ-ერთ დამფუძნებელს და ხელმძღვანელს. ხელშეკრულება რაზე? მასზე, რომ მეურნეობამ ფირმას მიაიჯარა (წაიკითხე: აჩუქა) ათი წლით რამდენიმე სოფლის სარჩოსაბადებელი, სახელდობრ — 4000 (ოთხი ათასი) (!) ჰექტარი საუკეთესო სათიბ-საძოვარი იმ 9000 (ცხრა ათასი)-დან, რომელიც ამ სოფლებს ყველას ერთად ჰქონდათ, აჩუქა რა ფორმით? ცხადია, მეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე (რადგან სხვა იურიდიული ფორმა ამისათვის არ არსებობს) და ცხადია ყალბი ოქმის გამოყენებით (რადგან კრება არ შემდგარა, ასეთი გადაწყვეტილება არ მიღებულა და ამიტომ ოქმიც არც ერთ სოფლელს თვალით არ უნახავს (სოფელს კი მოატყუა, ფერმერული მეურნეობა გაუქმდაო).

ფირმის („შპს „კორინთის“) პრეზიდენტია ვინმე სერგო მწიოთურიძე — თბილისში მაღაზია „დინამოს“ დირექტორი წლების მანძილზე, მისი მარჯვენა ხელია — მისი აქ მცხოვრები ძმა, პროფესიით მძღოლი და ზედწოდებით „ბოღმა“ ნუგზარ მწიოთურიძე, ფირმის მესამე ბურჯი — ზემოხსენებული თამაზ ჯამრიშვილი, იგივე ფერმერული მეურნეობის დირექტორი. ფირმამ გადაკეტა ხეობა, ხერგილზე გამოკიდა წარწერა „აკრძალული ზონა“ (თუმც მისი გამოკიდების უფლება მხოლოდ ძალისმიერ სამინისტროებს აქვს) და შეუდგა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის წმინდა საქმეს არაპროფესიულ დონეზე. გლეხებს უთხრა: „ათ ბულულს გამითიბავ, აქედან სამი შენ და შვიდი მეო“. შედეგი? შარშან ფერდობები გაუთიბავი დარჩა (რადგან ამ კაბალურ პირობებს არავინ დაეთანხმა) და წელსაც გაუთიბავი რჩება ამ სამოთხესავით მიდამოში, სადაც მეცხოველეობა ცხოვრების ერთადერთი საშუალებაა (არც გლეხების საქონელს უშვებენ საძოვრად). მეურნეობის ორივე ტრაქტორი ფირმამ თავის ხერგილთან აზიდა (რადგან მიწასთან ერთად ისინიც „მიიპრივატიზა“ ჩალის ფასად. სხვათაშორის, სოფლის კანტორაც). თვით მეურნეობის ბოსელიც კი დაშალა და თავის ათი წლით აღებულ „ტერიტორიაზე“ აიტანა... ხერგილის ავტომატიანი დარაჯებისათვის (ვითომ საკუთრების დაცვის სამხარეო პოლიციის თანამშრომლების) სადგომის ასაშენებლად. სულ ფირმის თქმით მან 21000 (ოცდაერთი ათასი) დოლარი დააბანდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეურნეო მიმართულებით მას ჯერ ერთი თეთრის ღირებულებაც არაფერი შეუქმნია (რაშიც ძალიან ადვილად დაგვარწმუნა მათ მიერ დაპყრობილი ხეობის შემოვლამ), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დაბანდება მხოლოდ თანამდებობის პირებზე გაცემულმა ქრთამებმა შეადგინა.

ორი რამ არის განსაკუთრებით საინტერესო და შთამბეჭდავი, ერთი ის, რომ, როგორც ჯაყოს შეეფერება, მახრჩობელა ფირმამ „თავის“ მამულების ავტომატებიანი დაცვა დაუყენა (რა კანონის ძალით ესეც ღმერთმა უწყის) და ამ ავტომატებით ტყეში ბრაკონიერობის ზეიმი მოაწყო (ასევე მოექცა თევზსაც), მეორე ისაა, რომ ალეურას ხეობაში ფირმის შემოჭრამდე საქმე ისე მიდიოდა, რომ მტერს გულს მოუკლავდა და მოყვარეს გაახარებდა, მოსახლეობა თანდათან ითვისებდა ლაღად გაშლილ სათიბ-საძოვრებს, საქონელს სწრაფი ტემპით ამრავლებდა და ცოტაოდენი კარტოფილიც მოჰყავდა, რომ იტყვიან, ღვთის თვალი ტრიალებდა.

ურთიერთობა სოფელსა და ახლად მოვლენილ მებატონეებს შორის უაღრესად დაძაბულია, რამდენიმე სოფელი, რომელმაც გაბედა და დაპყრობილ ხეობაში მოხნა ნაკვეთი, დააპატიმრეს. შპს „კორინთამ“ სოფელს წერილობით უჩივლა პოლიციაში და დაემუქრა დაპატიმრებითა და გაკრობით. არც ამა წლის 17 აპრილს მოწვეულ სოფლის ყრილობაზე ეშველა რამე სოფელს (ყრილობას ესწრებოდნენ რაიონის გამგებელი, დეპუტატი, პოლიციის უფროსი, პროკურორი და უშიშროების უფროსი) რადგან ადგილობრივი ხელმძღვანელობა „ფირმას“ მიემხრო, სოფელს კი შანტაჟითა და მუქარით აშინებდნენ, ატყუებდნენ, ფერმერული მეურნეობა გაუქმდაო.

რით გაიმარჯვეს კანონის დამრღვევებმა და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ მავალებმა დღემდე? მხოლოდ იმ 21000 დოლარით? არა! რომ დაჭირდათ, აქ დატრიალდა ჯადოსნური სიტყვა „არაქართველი“ — და კომკავშირულმა ინტერნაციონალიზმმა ტრადიციისამებრ თავისი წონადი სიტყვაც თქვა. თუ თქვენ არ დაგვიდგებით ყმებად, **სხვებს** მოვიყვანთ — ამ ხეობიდან გასულ ოსებს სულ რამდენიმე ოჯახს (თანაც არ გეგონოთ, რომ ეს გასვლა კონფლიქტის გამო მოხდა) **მათი ნათესავებითურთ** (აუარაცხელი რაოდენობით) რომელთაც საქართველოში არასოდეს უცხოვრიათ და ათი ბეღელიდან შვიდს იმათგან მივიღებთო. ამის დადასტურებაა ვითომ გდუს ოსური მოსახლეობის მიერ შპს „კორინთაზე“ და მის საქმიანობაზე მადლიერების გამომხატველი წერილი, რომელიც წარუდგენიათ ამ მოსახლეობას რაიონის გამგეობაში ოცი ხელმოწერით, ოღონდაც 2 აწ უკვე დიდი ხნის წინ გარდაცვლილებს ეკუთვნით, ხოლო დანარჩენი 18 ყალბია. ხდება ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა ამ 130 წლის წინ და რამაც ე.წ. ქართულ-ოსური კონფლიქტის პრობლემა შექმნა, როდესაც რეფორმების შემდგომ გლეხების გარეშე დარჩენილმა მაშინდელმა მიწათმფლობელებმა იაფ მუშახელად არაქართველები (გადამთიელები) ჩამოასახლეს.

აღშფოთებულმა ალეურას ხეობის მოსახლეობამ სამართლის ძებნაში მრავალ ინსტანციას მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. რაიონის პროკურატურამ თითქოს შეისწავლა საკითხი, მაგრამ სამართლიანად და სოფლის სასარგებლოდ არაფერი გადაუწყვეტია.

უძლეველი „ფირმა“ (ასე უწოდებენ ისინი საკუთარ თავს) კი აგრძელებს ალეურას ხეობის გაჩანაგებას. გეეჭვებათ? მიბრძანდით და თქვენი თვალით იხილეთ, ოღონდაც საკუთრების დაცვის პოლიციამ შეიძლება ხეობაში არ შეგიშვათ, ამიტომ საშვისთვის შპს-ს პრეზიდენტს მიმართეთ, უარის შემთხვევაში არაგვის ხეობიდან შემოუარეთ და იქიდან გადადით ფეხდაფეხ, იქ გადასასვლელები ჯერ არ გადაუკეტავთ.

11 ივლისის სოფლის ყრილობაზე ბევრი უსამართლობანი ითქვა, რომელთაც ცნობილ მიზეზთა გამო ვერ გადმოგცემთ (მათი გარკვევა შესაბამისი ორგანოების საქმეა), იმას კი მოგახსენებთ, რომ სოფელმა ფერმერული მეურნეობის ამჟამინდელ დირექტორს კატეგორიულად მოსთხოვა სოფლისათვის და ქვეყნისათვის უსარგებლო, საზიანო ხელშეკრულების გაუქმება, მაგრამ მისგან უარი მიიღო, რის შედეგადაც სოფელმა გადააყენა თანამდებობიდან მეურნეობის დირექტორი (შრომითი კოლექტივის უფლებით) და რაიონულ გამგეობას მიმართა თხოვნით, რომ მის ადგილას დაინიშნოს სოფლის მიერ დასახელებული კაცი, რომელიც სოფელს 30 ვერცხლად არ გაყიდის და პირველ რიგში მიწას საკუთრებაში თუ იჯარით ჯერ სოფლელებზე გასცემს, ხოლო შემდგომ სხვებზე (დირექტორთან სოფლელების 80 უპასუხო განცხადება დევს მიწის იჯარით გამოყოფის თაობაზე), ყრილობამ აირჩია ხუთკაციანი კომისია, რომელსაც დაავალა შპს „კორინთასთან“ ურთიერთობის დეტალური შესწავლა და ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის დადგენა.

არადა ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, რომ მიწა პირველ რიგში უნდა მიეცეს მას, ვინც აქამდე ამუშავებდა და უვლიდა, თორემ რა გამოდის, ქართველი გლეხი აქამდე კომუნიზმს ემსახურებოდა და სტომაქს კომუნიზმის თავდადებულ მშენებლებს უვსებდა, თვითონ კი სანახევროდ მშიერი და დაჩაგრებული დაიარებოდა. ახლა კი საიდანღაც მოვლენილი მებატონეების მონანი უნდა იყვნეს. ეს ყველა ადგილობრივ (შინაურებსაც და გარეულებსაც), ზემოთაც და ქვემოთაც, სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარე (ქვეყნის დაქცევიდან დაწყებული საკუთარი მუცლის გაძღომით დამთავრებული) არ აწყობთ თავისუფალი, თავისი თავის და საკუთარი მიწის გამგებელი და პატრონი ქართველი გლეხი (რისი სიმპტომებიც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ჩნდება და რაც ყველაზე მეტად უფრთხობს ძილს მავანსა და მავანს), მითუმეტეს, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე (მთელ ახალგორის რაიონში მიწის რეფორმაც თითქმის არ ჩატარებულა, ალბათ, იმიტომ, რომ ცხინვალის „ხელისუფალთა“ გარეშე ვერ გაბედეს ამ ღონისძიებების ჩატარება).

ალეურის ხეობის ჯაყო-ყვარყვარეებს შევახსენებთ, რომ ბატონყმობა დიდი ხნის უკან გადავარდა, ხოლო ფერმერები კი მათგან, როგორც მათი ამჟამინდელი ქმედებებიდან ჩანს, ვერ დადგება.

სოფლის ამგვარი პრობლემების არსებობა და სიმწვავე აგრეთვე გამოწვეულია ადგილობრივი თვითმართველობის არჩევითი ორგანოების არარსებობით. საერთოდ საქართველოში რეფორმები და კერძოდ პრივატიზაცია ამ მნიშვნელოვანი ორგანოების გარეშე ტარდება. ყველამ კარგად იცის, თუ როგორი სამართლიანობით ჩატარდა პრივატიზაცია მრეწველობაში და მომსახურების სფეროში, ვინ ჩაიგდო ხელში ფაბრიკა-ქარხნები (თუმცა, ჩემის აზრით, უმეტეს მათგანს ამუშავება არ უწერია) და მომსახურების სფეროს ობიექტები და როგორი გზით. ქვეყნის ღალატად მიმაჩნია სოფლად რეფორმების იმ მეთოდით ჩატარება, როგორც ეს ხდება ქსნის და კერძოდ ალეურას ხეობაში, ეს საბოლოოდ გააუცხოებს ქართველ გლეხს მიწისაგან (ისედაც გულგატეხილს), რაც ქვეყნის სარჩო-საბადებლის გარეშე დატოვებასა და საბოლოო კატასტროფას უდრის. მიწა, ქარხნებისა და მანქანა-დანადგარებისაგან განსხვავებით, რაც არ უნდა ძველი იყოს (მით უფრო სათაყვანებელია), არ ცვდება და არ ფუჭდება, თუკი მას მზრუნველი ხელი არ აკლია, მას სხვა მიწით (დანადგარივით) უცხოეთიდან შემოტანით, ვერ შეცვლი. მიწა არის ის, რასაც ყოველი ქართველი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს და საკუთარი შვილივით ზრუნავდეს მასზე.

ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც ახალგორის რაიონში რაიონის 5 ხელმძღვანელი დაინიშნა და მოიხსნა, რომ ყოფილიყო ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ არჩეული და გარკვეული უფლებამოსილებებით აღჭურვილი ორგანო, დარწმუნებული ვარ ის უსამართლობა, რაც მოხდა ალეურის ხეობაში, არ მოხდებოდა, დანიშნულებს კი თავი თავადებად და ერისთავებად წარმოუდგენიათ და უპასუხისმგებლოდ ანადგურებენ და აკნინებენ ქართულ სოფელს.

მასალის გამოქვეყნებამდე შეგვატყობინეს სოფლის მიერ არჩეული კომისიის მუშაობის შედეგები, თუკი ამას შედეგები

გაგრძელება მე-6 გვ.

ვინ ცდილობდა და ვინ ცდილობს ბანკ «ჭიათურის» მეანაბრეთა გაკოტრებას

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოეთის ნგრევა ბევრს ვერც კი წარმოედინა, ხოლო „გარდაქმნით“ ბოძებული სიახლეებით სარგებლობის გონი, ნიჭი და შესაძლებლობა, თითო-ოროლა კაცს თუ ექნებოდა, შეიქმნა, უფრო სწორად, დაფუძნდა კომერციული ბანკი „ჭიათურა“. მისი შექმნის ინიციატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ დათო დეკანოიძე. ბანკი შეიქმნა იმ დროს მოქმედი ყველა ნორმატიული მოთხოვნის დაცვით. მკითხველის ყურადღება რომ არ გადავღალოთ, მოკლედ ვიტყვით: ბანკის ხელმძღვანელობამ უმოკლეს ვადაში შესძლო ბანკისათვის აუცილებელი ყველა ატრიბუტიკის შეძენა. იმ მცირეოდენი თანხების სწორი განთავსებიდან მიღებული შემოსავლებით, რაც ბანკის დამფუძნებლებისგან საწესდებო კაპიტალში ჩაიდო და რაც ბანკის კლიენტურის ანგარიშზე ირიცხებოდა, შეძენილ იქნა შენობა ბანკისათვის, გაუკეთდა მას კაპიტალური შეკეთება, ბანკი აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიით („ბროროტი“ ხმები იმასაც ამბობენ, რომ ჭიათურაში პირველი კომპიუტერი სწორედ ბანკ „ჭიათურის“ მიერ იქნა შემოტანილი). ბანკი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს, იხვეჭდა ავტორიტეტს და ყალიბდებოდა სრულყოფილ, თანამედროვე ბანკად...

მაბრამ ხანგრძლივ ეს ცხოვრება გაახარებს ვისმე განა?!

ბანკის თავდაპირველ დამფუძნებელთა მხრივ არ მოხდა განცხადებული წილის შეტანა საწესდებო ფონდში. შესაბამისად, ბანკის მთელი ქონება სამი კომერციული სტრუქტურის მიერ იქნა შეძენილი. ერთ-ერთი მათგანი სწორედ დათო დეკანოიძეს ეკუთვნოდა და ბუნებრივია, ის ამავე პერიოდიდან ჩამოცილდა ბანკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და გახდა ბანკის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი). საბჭო სულ სამი წევრისგან შედგებოდა. არ დაგავიწყდეს მკითხველო, ეს ის პერიოდია, როცა ბანკს ქალაქში კარგი ავტორიტეტი და დაფასება აქვს (ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბანკის 153 მეანაბრიდან რამოდენიმე ჭიათურის სხვა ბანკების პასუხისმგებელი მუშაკები არიან!!!)

მეთვალყურეთა საბჭოს ორმა დანარჩენმა წევრმა (საქმის ძიებაში ყოფნის გამო მათ გვარებს არ ვასახელებთ) როგორც კი თავი „ხელისუფლებაში“ იგულვეს, დაიწყეს განკარგულებების გაცემა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე სესხების გაცემის თაობაზე, არც ერთი ასეთი განკარგულება საბჭოს თავმჯდომარესთან დ.დეკანოიძესთან შეთანხმებული არ ყოფილა და მის მიერ, შესაბამისად, ხელმოწერილიც არ არის.

კრედიტები მეთვალყურეთა საბჭოს წევრებმა თვითონ გაიტანეს, დაბრუნებით კი ვერ დააბრუნეს და ბუნებრივია, დაიწყო ბანკის ფინანსური პრობლემები. საბჭოს თავმჯდომარე, გრძნობს რა მოსალოდნელ საფრთხეს, ბანკის ფინანსური დეფიციტის კიდევ უფრო გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, აყენებს საკითს ბანკის ლიკვიდაციის შესახებ, სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თვითონ ინიშნება. ის ითხოვს დამფუძნებლებისაგან, საბჭოს წევრებისაგან გატანილი კრედიტის დაბრუნებას, მაგრამ ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ — ჩვენ კრედიტები არ გაგვიტანიაო!

„ნახე თუ ოქრო რასა იქმნს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“...

ყოფილი საბჭოს თავმჯდომარემ, აწ უკვე სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარემ, ყოფილი საბჭოს დანარჩენი ორი წევრის განცხადების თაობაზე — კრედიტები არ გაგვიტანიაო, — ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა ჭიათურის პროკურორ ტყემალაძეს და მოსამართლე ცხადაძეს, გთხოვთ გაარკვიოთ, მართლა გაიტანეს თუ არა სესხები ბანკის დამფუძნებლებმაო. უთითებდა მიმართვაში, ბანკში მათ მიერ ხელმოწერილი გასავლის ორდერების არსებობას, საკრედიტო ხელშეკრულებასა და სხვა აუცილებელ დოკუმენტაციას, რაც სესხის გაცემის და მისი ნაღდი ფულის სახით გატანისათვის იყო საჭირო. ეს ყველაფერი 1995 წელს სექტემბერში ხდება. ამ დღიდან იწყება ბანკის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მეანაბრეების (153 კაცი, როგორც აღვნიშნეთ) ტრაგედია. პროკურორს, ბატონ ტყემალაძეს, დღემდე პასუხი არ გაუცია, უფრო მეტიც — დაჭერით ემუქრებოდა მთელი ამ ხნის მანძილზე მას, ვინც ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა. ჩვენ ქვესათაურში „კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ მოთავსებული ციტატა ბანკის ის დამფუძნებლები, რომლებმაც ფაქტიურად განაპირობეს ბანკის გაკოტრება, პროკურატურისთვის „შინაური ხალხი“ აღმოჩნდა. პროკურორი მთელი გასული ათი თვის მანძილზე მუშაობს იმისთვის, რომ გამწარებული მეანაბრეები, როგორმე, საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეს დ.დეკანოიძეს გადაამტეროს, დაარწმუნოს ისინი, რომ მათი უბედურების თავი და თავი სწორედ ისაა. დეტალურად ყველაფრის გადმოცემა შორს წაგვიყვანს, მოკლედ გეტყვით, რომ ამ პერიოდში დეკანოიძეს არ დაკლებია პროკურორისგან შანტაჟის არცერთი ფორმა: გვიან ღამით სახლიდან წაყვანით დაწყებული, 3-4 საათის განმავლობაში დაკავებით დამთავრებული. პროკურორის ქმედებით შეწყდა სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა. ბანკის საკუთრებაში დარჩენილი ქონების ღირებულება, ბანკის დებიტორებზე რიცხულ თანხებთან ერთობლიობაში, ბანკის ვალდებულებებს (პირველ რიგში მეანაბრეთა წინაშე) რამოდენიმეჯერ აღემატება. ისევ ჩანს, სწორედ ეს აწუხებდა მავანსა და მავანს, აკი ყველაფერი გააკეთეს, როგორმე ჩამოეცილებინათ თავიდან ქონების კანონიერი მესაკუთრე (დ.დეკანოიძე), როგორმე არ დასრულებულიყო სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა, რაც ერთადერთი გზა იყო მეანაბრეებისავის კუთვნილი თანხების დასაბრუნებლად.

აშკარა იყო, რომ ყველაფერი ეს შემთხვევით არ ხდებოდა, „ვიღაცას“ ბანკის ქონების ხელში ჩაგდება სურდა.

დ.დეკანოიძემ წერილობით მიმართა რესპუბლიკის პროკურორს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, შედეგი არა და არ ჩანდა.

მოვლენები, ძნელი წარმოსადგენია როგორ განვითარდებოდა დეკანოიძეს ადვოკატთა ასოციაციისთვის რომ არ მიემართა (პრეზიდენტი ქართლოს ღარიბაშვილი). ვთვლით და დაგვეთანხმებიან ბანკის მეანაბრეები, რომ შეხვედრა, რომელიც ჭიათურაში ა.წ. 20 ივლისს, შაბათს, გაიმართა სწორედ ამ უკანასკნელთა ძალისხმევის შედეგია.

საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით აღვწეროთ ამ შეხვედრის პერიპეტიები, ის საოცარი უსუსურობა პროკურორისა, რომ გამოავლინა: ჯერ შეხვედრაზე მოსულ, პარლამენტის აკრედიტებულ ჟურნალისტს დიქტოფონით სარგებლობა აუკრძალა — ჩემს კაბინეტში არ შეიძლება, შემდეგ ქ.ღარიბაშვილთან ერთად რამოდენიმე წუთის დაგვიანებით შემოსულ ტელერეპორტიორებს გადამღები აპარატურის ხმარება. შემდეგ შეხვედრის მონაწილეები საერთოდ დაითხოვა მისი კაბინეტიდან და ქუჩაში გაყარა. მოკლედ, ყველაფერს ეცადა, რათა 10 თვის მოლოდინით დატანჯულ ხალხს დ.დეკანოიძესთან შეხვედრის ეს ბედნიერი შემთხვევა ჩაშლოდა.

„არ ხარ ადვოკატი, მოსმენა არ უმღერია“

ადვოკატის (რომლის ვინაობაც სამწუხაროდ არ ვიცი), ბ-ნ ქ.ღარიბაშვილისა და მეანაბრეთა ძალისხმევით შეხვედრა მაინც შედგა. მანამდე, უნდა გაუწყოთ, რომ ის ორი დამფუძნებელი, ბანკის გაკოტრება რომ „შესძლო“ შეხვედრის დაწყებამდე პროკურატურის შენობასთან, მეანაბრეებთან ყოფილან, შეხვედრის დაწყებიდან (უფრო სწორედ დ.დეკანოიძის ჭიათურაში ჩასვლიდან) სადღაც გამქრალან და პროკურორს, მიუხედავად დაპირებისა, შეხვედრაზე მათი მოყვანა ვერ „მოუხერხებია“.

ბატონ ქ.ღარიბაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ადვოკატმა, ყველაფერი გააკეთა ამ შეხვედრის ნორმალურად ჩატარებისათვის, არ მისცა საშუალება გაეტარებინა გამოცდილი პროკურორის წინასწარ დამუშავებული პროვოკაციები, (მართლაც და ბრძენია ხალხი, პრეზიდენტად რომ აგვერჩია თურმე რა ადვოკატს ვკარგავდით!?) თუმცა კი ბრმად ვერ დავემოწმებით მის გაბედულ გამონათქვამს: პროკურატურაში, გალიგაშვილისა და შუშანაშვილის გარდა, ყველა მექრთამეები ზიანო, უსუსურ ტყემალაძეს წინააღმდეგობა არც უცდია.

შეხვედრაზე გამოსული დ.დეკანოიძის სიტყვები ზოგის გულს ისარივით ხვდებოდა, ზოგს იმედის ნაპერწკალს უღვივებდა და საბოლოოდ ერთი საათის საუბრის შემდეგ ერთხმად (123 მეანაბრე ესწრებოდა 153-დან) მოითხოვეს სალიკვიდაციო კომისიის ხელმძღვანელობა ისევ დ.დეკანოიძეს დაევალოს, რომ იტყვიან სამართალმა პური ჭამა, ახლა სიტყვა სასამართლოზეა მაგრამ ვინ უნდა აანაზღაუროს ათი თვის განმავლობაში მატერიალური (მეანაბრეებისათვის, ბანკის დამფუძნებლებისათვის) და მორალური (დ.დეკანოიძისთვის) მიყენებული ზარალი?

ამ კითხვაზე პასუხი ჭიათურის პროკურორსაც მოეთხოვება.

იმედი გვაქვს რესპუბლიკის პროკურატურა სამართლიანობის მხარეზე დადგება, არ გაუფრთხილდება მუნდირის ღირსებას და რაიონული პროკურატურიდან დაწყებული ყველას თავის წილ პასუხისმგებლობაზე აგებინებს პასუხს.

მ.ღვინიაშვილი

დაჭრეს ყოფილი გამგებელი, თუმცა „საქმე“ ერთობ გაასაიდუმლოეს

12 ივლისს, დღის ოთხის ნახევარზე, ქალაქის №2 საავადმყოფოში სამი გასროლით, ორივე ფეხში დაჭრეს „იბერვიზიის“ პრეზიდენტი და ოზურგეთის რაიონის ყოფილი გამგებელი ბატონი გია გოგიბერიძე.

გასაკვირია, რომ ეს ამბავი საზოგადოებაში მხოლოდ არაოფიციალურად გახმაურდა. რატომღაც დუმილი არჩიეს „ვიდეოპატრულმა“ და ძალოვან სტრუქტურათა პრესცენტრებმა. ვითარება კი შემაშფოთებელია, ვინაიდან ბატონი გია 6 თვე უკანონოდ და ხელოვნურად შექმნილი ბრალდებით იყო დაპატიმრებული. ამ ცოტა ხნის წინ კი ქალაქის პროკურატურამ იგი გაანთავისუფლა დანაშაულის არარსებობის გამო. მთელი ამ ხნის მანძილზე კი იძიებდნენ, ყოფილი №1 მაცივრის, ამუამად კი საწარმოო გაერთიანება „მერკური-92“, კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-24“-ის „მიტაცებას“, მისი დირექტორის გია გოგიბერიძის მიერ. საინტერესოა, რომ არსებობს ოქმი, ბალანსზე რიცხული სამი მსუბუქი ავტომანქანის ჩამოწერის შესახებ. ყურადღება კი რატომღაც მხოლოდ ერთზე გამახვილდა და საქმეც საკმაოდ გვიან აღიძრა. ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, თუ ვინ მფარველობს ამ საწარმოს და რა მიზეზები უდევს საფუძვლად ამ გარემოებას.

ბატონი გიას გათავისუფლების შემდეგ კი მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა. მართალია, მისი დაჭრის შესახებ საავადმყოფოში ყველა ლაპარაკობს, მაგრამ საქმის ოფიციალურ მასალებში ჯერჯერობით არ არის ლაფიქსირებული ამ დანაშაულის სრული სურათი.

სამწუხაროა, რომ მასმედიის სიუხვისა და ჟურნალისტთა სიმრავლის მიუხედავად, ამ საქმით ცოტანი თუ დაინტერესდნენ. არავის უკითხავს, თუ რატომ დაატყდა თავს უსამართლო რეპრესია საქართველოში პირველი და ძალზე პოპულარული დამოუკიდებელი ტელეკომპანიის პრეზიდენტს გია გოგიბერიძეს. არავინ დაინტერესებულა „იბერვიზიის“ დარბევითა და მისი მუშაობის შეწყვეტის მიზეზებით, რაც „მხეირიონთანაც“ ყოფილა დაკავშირებული. უყურადღებოდ დარჩა იქ მომუშავე თითქმის 200 თანამშრომლის საკითხიც. ალბათ, თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს პრეზიდენტმაც, რომელმაც გია გოგიბერიძე ოზურგეთის გამგებლად დანიშნა. მით უფრო გასაკვირია, რომ ოფიციოზისათვის ერთ დროს მიღებული კაცი, უკანონობის ქარტეხილში აღმოჩნდა. ალბათ, ბატონი ედუარდი დაინტერესდება და ხელსაც შეუწყობს ჟურნალისტებს ამ საქმის სიმართლის ღაღვენაში.

ვფიქრობთ, საიდუმლოებითა და ბურუსით მოცულ საქმეზე, რომლის გარშემოც ყველა დუმილს არჩევს, აუცილებელია ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება, რათა მკითხველს ამ „საიდუმლოს“ მიზეზები ვამცნოთ.

გუბაზ მეგრელიძე

წინ! წინ! ქვეყნის გაჩანაგებისა და დაქუცმაცებისაკენ!..

მეოთხე გვერდიდან

შეიძლება ეწოდოს. ისევ გრძელდება მოსახლეობის შანტაჟი და დაშინება, არც გამგეობამ, არც შპს „კორინთამ“ და არც ფერმერულმა მეურნეობამ კომისიას არ წარუდგინა ამ საქმესთან დაკავშირებული არც ერთი დოკუმენტი შესასწავლად. გამგეობამ განუცხადა, რომ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ გარდა იმისა, რომ შპს „კორინთას“ შეეხვეწები, იქნებ წელს მაინც გაგათიბინონ თივაო, ხოლო ფერმერული მეურნეობა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებით გაუქმდა (?!) აღარ არსებობს და რისი დირექტორი მოვხსნა ან დავნიშნოო.

ფირმის პრეზიდენტმა სოფელში ჩაბრძანება და ხალხთან ლაპარაკი არ ინება, ამიტომ კომისიის წევრები იძულებულნი გახდნენ, სახლში სწვეოდნენ. მან განუცხადა, რომ ისიც ვერ დაეხმარება ვერაფრით და ამ საქმის მოგვარება მხოლოდ გამგებლის დახმარებით თუ შეიძლებაო (ჯადოსნური წრე), თანაც სოფელს ხეობაში სასაშვო რეჟიმის გამკაცრებას შეპირდა. როგორც შევიტყეთ ხერგილს ბოქლომი დაადო და აღუთქვა, რომ ჩემს ლომებს დავავალებ, ნათაძე კი არა, მამაზეციერიც რომ გამოგეცხადოთ, ისიც უჩემოდ არ შეუშვათ ხეობაში, (გეცნობათ, ალბათ, ჯაყოს ოინები და ყვარყვარეს ჯარი), მაშ, მაშ, ასე იცის ჯაყომა, რა მეურნეობა რის მეურნეობა, მეურნეობაც მე ვარ და დირექტორიც, თანაც ნათაძეს გადააბრალა ქვეყნის დანგრევა, ხოლო ამ „ნანგრევებზე“ თვითონ რომ არამი ქონება მოიგდო ხელში, ის კი აღარ უხსენებია, მეურნეობის დირექტორი კი კარგა ხანია სახლში სოფელზე გავლით ველარ დადის და ტყე-ღრეში ფორთხიალით უწევს შინ მისვლა.

ქსნის ხეობიდან სხვა შემაშფოთებელი ამბებიც ჩამოგვიტანეს, თურმე რაიონის ხელმძღვანელობა ქსნის ხეობის გაიჯარებას აპირებს მთლიანად ალურას ხეობის ექსპერიმენტზე დაყრდნობით. უახლოეს გეგმად აქვთ თავის ამფსონებს ჩამოურიგონ ჭურთის, ხრომოს, უკანა მხრის, ოხირის ხეობები (ეს რაც ცნობილია)...

მოვუწოდებ ჩვენს „უმაღლეს“ ხელისუფალთ, რაც შეიძლება ხმამაღლა, მთელი სამყაროს გასაგონად იყვიროთ თქვენი ლაქია ტელევიზიითა და პრესით, რომ საქართველოში და კერძოდ ქსნის ხეობაში წარმატებით მიმდინარეობს მიწის რეფორმა, რომლის შედეგადაც ქსნის ხეობის ულამაზეს ბუნებას დაეპატრონნენ ჩვენს მიერვე შექმნილი უდღეური მებატონეები (როგორც ფაბრიკა-ქარხნებს მთელს საქართველოში), მათი რიცხვი განუხრელად იზრდება. რაც შეეხება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას, ისინი არა იძულებით, როგორც ეს აფხაზეთში მოხდა, არამედ თავისი ნებით უახლოეს დროში დატოვებენ ქსნის ხეობას მთლიანად, ხოლო მათ ადგილებზე ჩავასახლებთ ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ უცხოტომელებს ყველა პატივითა და დიდებით. მხოლოდ ამის შემდეგ მთლიანად და საბოლოოდ აღადგენთ ესოდენ ნანატრ „სამხრეთ ოსეთს“.

წინ! წინ! ქვეყნის გაჩანაგებისა და დაქუცმაცებისაკენ!..

მოამზადა
ტრისტან ბერიანიძემ

»დიდი ოჯახების« პოლიტიკური არჩევანი

ჰილარ კლინტონი და ჰიუგ როდამი

ჯებ ბუში



ჯორჯ ბუში უმცროსი

პოლიტიკაში, ისევე როგორც კინოში, სახელი ბევრს ნიშნავს. ამომრჩევლისთვის თუ მაყურებლისთვის, მაგია, რომელიც თან ახლავს ამა თუ იმ გვარს, საბოლოო წარმატების ერთი დიდი საწინდარია. მაგრამ წელს, ისე, როგორც არასდროს, ძალიან ბევრი კანდიდატი აფუძნებს იმედებს საკუთარ ოჯახის თუ გვარის პოპულარობას. ჯორჯ ბუშის დამარცხებიდან ორი წლის შემდეგ, მის ვაჟიშვილებს გაუჩნდათ რეალური შანსი, გახდნენ ქვეყნის სამხრეთის ორი ყველაზე დიდი შტატის გუბერნატორები. ჯორჯ ბუში-უმცროსი, ტეხასის შტატში მიყვება მამის კვალს და უპირისპირდება ამჟამინდელ გუბერნატორს, ენერგიულ და ავტორიტარულ ანნი რიჩარდს. ჯებ ბუშს, რომელიც უფრო დედას ემოგავს ხასიათით, სურს დაიპყროს ფლორიდა, სადაც, აი, უკვე 18 წელია მეფობს ლოუტონ ჩაილზი. ეს უკვე ბუშების მესამე თაობაა, რომელიც ეპირება დიდ პოლიტიკაში ადგილის დამკვიდრებას: ბაბუა — პრესკოტ ბუში, კონეკტიკუტის შტატის წარმომადგენელი იყო ამერიკის სენატში. ღემოკრატიული ბანაკიდან ხშირად გაისმის ქირქილი, ახალგაზრდა ბუშები „მამიკოს შვილები“ არიანო, მაგრამ ბუშებს ეს ინსინუაცია სასაცილოდაც არ ყოფნით. სხვათაშორის, უფროსი ჯორჯ ბუში აქტიურად ჩაერია შვილების საარჩევნო კომპანიაში და მიტინგებზე ხშირად გამოდის ამომრჩეველთა წინაშე.

მაგრამ ყველა ოჯახი მსგავსი აღტყინებით არ უბამს მხარს თავისი წევრის პოლიტიკურ ამბიციებს. როდესაც ჰილარი კლინტონმა შეიტყო, რომ მისი ძმა ფლორიდის შტატის სენატისკენ „იქაჩება“, მას სიხარულისაგან ცეკვა არ დაუწყია. ჰიუგ როდამი, ულვაშებიანი, ჩასხმული მამაკაცი, ერთი საშუალო დონის ადვოკატია, რომელიც აქამდე პოლიტიკისგან შორს იდგა. მან მხოლოდ 1992 წლის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, რათა ხმა მიეცა საკუთარი სიძისათვის „ბატონი ძმის“ არაკომპეტენტურობა აწუხებს თეთრ სახლს. დიდი ხნის დახანების შემდეგ, ჰილარი კლინტონი მაინც ეწვია ფლორიდას, მაგრამ მისმა მეურვეობამაც, შეიძლება ვერაფერი სარგებლობა მოუტანოს მის ძმას.

მასაჩუსეტის შტატში ედვარდ კენედი, გვარის ახლანდელი ლიდერი, იძულებული გახდა დაეგირავებინა საკუთარი სახლი, რათა ხელმეორედ არჩევნებისთვის ფული შეეგროვებინა. მაგრამ ოჯახური ტრადიცია გრძელდება. პატრიკ კენედი, ედვარდის ნაბოლარა შვილი, 27 წლის ასაკში შეიძლება კონგრესის ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდეს.

ბენუა ლაპორტი
(„პუენი“, 1996 წელი)

ევერესტიც კი დაანაგვიანეს

ნეპალელმა ალპინისტებმა ხუთი ექსპედიცია აღჭურვეს ყველაზე მაღალი მთის გასასუფთავებელი რეიდის ჩასატარებლად. მათ 2 ტონა ნაგავი შეაგროვეს და გვაცნობეს, რომ კიდევ 15 ტონა დარჩა შესაგროვებელი. რა არ აღმოჩნდა იქ: კონსერვის ქილები და ბოთლები, ცელოფანის ნაკუწები, ქაღალდები, ნაჭრები, ელემენტები და ლურსმნები, ალუმინის ქვაბები და ვედროები — მოკლედ ყველაფერი, რაც ადამიანის არსებობაზე მეტყველებს. წარმოიდგინეთ, რამდენმა ადამიანმა გაიარა ევერესტზე 1953 წლიდან, მისი პირველი დაპყრობის მომენტიდან, დღემდე.

ნეპალელებმა, ამის გარდა, აღმოაჩინეს უცნობი ალპინისტის გვამი. ვარაუდობენ, რომ შემდგომი ექსპედიციების დროს შეიძლება აღმოაჩინონ ათობით გაყინული სხეული. გამწმენდი ლაშქრობების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მარტიდან მაისის ჩათვლით, როდესაც თოვლი ნაწილობრივ დნება.

ნუთუ დედამიწაზე არ დარჩა ერთი სუფთა კუთხე? შეიძლება, უკვე დროა შეიკრიბოს ექსპედიცია მარიანის ღრმულის გასაწმენდად!

სასამართლო პროცესი იტალიაში

იტალიაში გრძელდება სასამართლო პროცესი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „სატელევიზიო მეფის“ სილვიო ბერლუსკონის საქმეზე. მას ბრალად ედება საგადასახადო პოლიციის ოფიცრების მოსყიდვა, რათა დაემალა თავისი ფინანსური იმპერიის „ფინინვესტის“ ჭეშმარიტი შემოსავლები. წინასწარი ძიების მონაცემებით, საგადასახადო პოლიციის ოფიცრებს, ბერლუსკონის დამხმარეებმა 380 მილიონი ლირა გადასცეს, რაც 200 ათას დოლარზე ოდნავ მეტია.

ამერიკელი სენატორის რეკორდი

93 წლის ამერიკელმა სენატორმა სტრომ თერმონდმა განაცხადა, რომ ბალატირებას აპირებს კონგრესის ზემო პალატაში კიდევ ერთი ვადით. მის ენერგიასა და ამტანობაზე აშშ-ში ლეგენდები დადის. მაგალითად, 68 წლის ასაკში თერმონდი კიდევ ერთხელ დაქორწინდა. მისი გულის რჩეული 24 წლის იყო. ერთობლივი ცხოვრების პირველი ხუთი წლის მანძილზე მათ 4 შვილი შეეძინათ.

ურანის საიდუმლო მარაგი

ნეიტრალური შვეიცარია ასრულებდა ბირთვული ბომბის შექმნის პროგრამას „ყოველი შემთხვევისათვის“ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 1988 წლამდე. ამის შესახებ იტყობინება რეიტერის სააგენტო ჟურნალი „ნიუ საიენტისტის“ მასალებზე დაყრდნობით. როგორც ამტკიცებს ეს ბრიტანული ჟურნალი, შვეიცარია ინახავდა ურანის საიდუმლო მარაგს და ჰქონდა 400 ბირთვული იარაღის შექმნის გეგმა. შვეიცარია ურანის წიაღისეულის საბრძოლო მარაგს ქ.ბერნის მახლობლად ინახავდა, ამ მარაგს არ ითვალისწინებდა საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელთა მიზანი იყო, არ დაეშვათ ბირთვული იარაღის გავრცელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორის კვერდი — წუთიშესვენება

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

რამდენიმე ხალისიანი ეპიზოდი ოტია იოსელიანის ცხოვრებიდან

ოტია - თავისივე მძღოლი

ჩემი პირველი ნოველების წიგნი რომ გამოვიდა, სულმნათ სერგო ზაქარიაძეს წაეკითხა და ეთქვა, შემახვედრეთ, ერთი, ეს კაციო!.. მაგრო, ეთქვათ, საცხა გადასაკარგავ სოფელშია, თბილისში ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებაო!.. როცა გამოჩნდეს, თუ დრო ექნეს, აგერ, თეატრში შემოიაროსო.

— მერე?

— გეტყვი აგერ, — სიგარეტი წამოაგო უშველებელ მუნდშტუკზე, — როცა „გამოვჩნდი", მითხრეს: სერგომ, თუ დრო ექნეს, თეატრში შემოიაროსო. მე მექნეს დრო თუ სერგო ზაქარიაძეს-მეთქი?! ასე თქვა იმ კაცმაო და... აშენდა მისი ოჯახი-მეთქი და შევიარე.

სერგომაც, რომ ამხედ-დამხედა, გაოცებულმა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რაღაცნაირად შეეჭვებულმა მკითხა:

— კი მარა, შენ დაწერე ეს ნოველები?! — წიგნი იქვე ედო, საგრიმიორო მაგიდაზე, სარკეში მეორე სერგო ჩანდა.

მხრები ავიწურე.

— ასეა, ბატონო სერგო.

— თუ ასეა, შენ პიესებსაც დაწერ!..

— რაფერ, რანაირათ, ბატონო სერგო!..

სარკეში დავინახე, რომ ჩაეღიმა, — განაგრძო ოტიამ და ყველა ჯიბე მოიჩხრიკა, ასანთს ეძებდა.

— იმფერ, იმნაირათ, რომ... აქ ისეთი დიალოგებია, პიესას რომ სჭირდება!

ოტია წამოდგა, ბუხრიდან მუგუზალი აიღო და მოუკიდა.

— ბატონო სერგო, პიესას მარტო დიალოგი უშველის?! მე თეატრში არცა ვარ ნამყოფი!..

თეატრში ჩვენა ვართ ნამყოფი;

— რავა გეკადრებათ, თქვენ, თეატრში კი არა, — უკიდებს სიგარეტს და, ერთი-ორი ნაფაზის შემდეგ, განაგრძობს, — კინოშიც, ესტრადაზეც და, ვინ მოთვლის, სად არა!..

— მერეო? — მეკითხება და სახეს იპუდრავს სარკეში.

— მერე მე საცხა სოფელში ვარ და თქვენ...

— მერე, იმ შენ სოფელში მე არ ჩამომიშვებენ?!

— მგონი, კი, მარა...

— რა მარა!.. აქ შენ ჩამოხვალ, ჩამოხვალ. შენ არა და — იქ მე ჩამოვალ!..

ასეც მოხდა. მე ჩავდიოდი თბილისში, მივდიოდი მასთან, თუ არა და, თვითონ ჩამოვიდოდა.

ამასობაში ნანას ტაბლა-სუფრა გაეწყო. როგორც წესი, მჭადი, ლობიო, ნადუღი, მოხარშული კვერცხები და, თაფლის არაყის გარდა, პატიოსანი ღვინო!..

— ღმერთმა გამინათლოს იმისი სული! — თქვა ჭერზე თვალაპყრობილმა ოტიამ და ჭიქას სწვდა.

შევსვით.

წელანდელი განაგრძო:

— თუ ვერც ის ჩამოდიოდა და ვერც მე ჩავდიოდი, მაშინ პიესის სურათებს ვუგზავნიდი და წერილებს მწერდა შენიშვნებით. მოგვიანებით ის წერილები „თეატრალურ მოამბეში" გამოვაქვეყნე. „მძიმეც" კი არსად დამისვია — ჩინებული ქართული და წერა იცოდა!.. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი.

დავწერეთ პირველი პიესა — „ადამიანი იბადება ერთხელ".

— დაწერეთ?!

— კი, სერგოს პირველ პიესაში დიდი წვლილი აქვს. გარდა რჩევებისა, შეხვედრისას, ყველა როლს — კაცისასაც და ქალისასაც — გამითამაშებდა ხოლმე, — ა, სცენაზე შენი სახეები რანი იქნებიანო.

ასე იყო თუ ისე, დავწერეთ და იდგმება რუსთაველის თეატრში. მაგრამ გორის თეატრმაც მოინდომა პიესის გაცნობა და, შენ წარმოიდგინე, ავტორისაც! — ისევ ჯიბეებს იჩხრიკავს. აღარ ახსოვს, მუგუზლით რომ მოუკიდა წელან. ახლა მე შევაშველე.

— გადავწყვიტე, იმ დროს ჩავსულიყავი, ცხენიც გამეხედნა და მამიდაც მენახა: მათ წარმოდგენას დავსწრებოდი, თეატრიც გამეცნო და იქაური თეატრალებიც! ასეც ვქენი, მაგრამ ჩვენს ჩასვლას (მარტო არ ვყოფილვარ, ბარე სამი მეგობარიც მახლდა) პრემიერა დაემთხვა.

თეატრის დირექტორს, ბატონ გედეონ ნავროზაშვილს, მანამდეც ვიცნობდი, სანამ, საერთოდ, წერას დავიწყებდი. ნავროზაშვილები ნავთლუღში, მამიდაჩემის მეზობლად ცხოვრობდნენ. გედეონის დასთან, ეთერისთან ვმეგობრობდი (თეატრმცოდნე იყო) და მის დედ-მამასთანაც ახლობლობა მქონდა.

ჩავედით გორის თეატრში. რა თქმა უნდა, გამოგვეგებნენ, მიგვიპატიჟეს. ჩემი თანმხლები მეგობრები უფრო დიდი პატივით, ვინემ — მე. თუმცა გაცნობა-გამოცნობის დრო აღარ გახლდათ, ის-ის იყო, სპექტაკლი იწყებოდა. რეჟისორ იური კაკულიასათვის პიესის გადაცემაც ძლივს მოვასწარი, რომ თავი დარბაზში ამოვყავით. დამთავრდა წარმოდგენა. მოვდივართ, მაგრამ ვინ გიშვებს!.. რავა გეკადრება, ვინ გადგმევინებს ფეხს!.. პრემიერის შემდეგ ხომ ვიცით ბანკეტი, მაგრამ გორში სხვანაირად სცოდნიათ. ისე კი არა, მხოლოდ დამდგმელი ჯგუფი, ვიწროდ და სახელდახელოდ, ასე ვთქვათ, თათარიახნად. გორელებს მთლიანად, მთელი თეატრი, დიდიან-პატარიანად, დამლაგებლიდან დირექტორამდე, დარაჯიდან მთავარ რეჟისორამდე, ყველანი მოეწვიათ. თეატრი ყველასია, ზეიმზეც ყველაა!..

სტალინის სახლის წინ, სასტუმროს ქვედა სართულზე რესტორანია, ცხენი გაჭენდება შიგ!.. სუფრაა, თუ არ ვცდები, ასი, ას ოცი კაცისათვის გაშლილი. სუფრის თავში დირექტორი — თამადა, გედეონი ზის. ბრგე კაცი იყო, ახოვანი. გვერდიდან არ მიშორებს, ხელმარჯვნივ ვუზივარ. ჩემს მარჯვნივ მსახიობი ზის, როგორც მერე შევიტყვე, ვალია კიკნაძე (მერე, ერთხანობას, მარჯანიშვილშიც ირიცხებოდა). თბილისიდანაც არიან სტუმრები: კულტურის სამინისტროდან, თეატრალური ჟურნალიდან, მაგრამ მე არავის ვიცნობ.

სუფრა ერთ ხაზზე, რაზეც დარბაზში საშუალებაა, ხომაა გადაჭიმული, მერე სწორი კუთხით უხვევს. იქით კიდევ ერთი იმდენია!!.

დავიწყეთ პურობა, მაგრამ მე მაგიდიდან მოშორებით ვარ. ასე გვიან ჭამას არც ვაპირებ (როცა ჭამა ვიცოდი, საჭმელი არ მქონდა და გადავეჩვიე. როცა მქონდა, — ჭამა აღარ ვიცოდი). გედეონს ჩემთვის სად სცალია — ამოდენა, თვალუწვდენელი სუფრაა საპატრონო!.. როგორც გითხარი, მსახიობი კიკნაძეა ჩემს მარჯვნივ, დრო და სტუმართმოყვარეობა რომ თავსაყარადა აქვს, მაგრამ რატომაა, რომ შეჩქვიფებული ამხედ-დამხედავს, მერე კი თანამეინახეებს გადაავლებს მზერას?! თუმცა რა ჩემი საქმეა, ი კაცმა თავისი საქმის უკეთ არ იცის?! მოიკლის სუფრას და ისევ მე გადმომხედავს. დაბნეულია. მაგიდასთან ფეხსაცმელები და შარვალი არ მიჩანს. ზედაწელი — ხონის ბაზარში ნაყიდი, წვრილშავუჯრედებიანი პერანგი მაცვია, მოკლესახელოებიანი. გულისპირიც არ იბნევა ბოლომდე, თორემ საზოგადოებაში, ისიც ასეთ გრანდიოზულ სუფრასთან, უკაცრაიული პასუხია, გულზე შავბალნიანი კაცის ბოლომდე აუღილკლოებული ჯდომა რა საკადრისია!..

სუფრა ეშხში შედის. „მოქმედება" აქტიურად მიმდინარეობს. მე ვპასიურობ. მოქმედებს ჩემი მარჯვენა მეზობელიც, მაგრამ აქეთ ჩემი ჯავრი არ ასვენებს, იქით ვიღაცის, ვერაფრით რომ ამ თვალუწვიერ სუფრაზე ვერ უპოვია!.. ბოლოს მომიტრიალდა და, არცთუ ისე ლმობიერად, ჩამილაპარაკა:

— მოიწი, კაცო, შენ, სუფრასთან ახლოს!..

— კი ბატონო, — სკამი მივაჩოჩე, — მადლობთ.

— ისე..., — ისევ გადაავლო თვალი სუფრას, მაგრამ, წინდაწინ რომ იცოდა, უშედეგოდ, — რავაა საქმე, სმას გიშლის?

— სმას? არა. ვინ... მარა...

— ჰო, ამ მწერლებ-დრამატურგებისას ვერაფერს გაიგებს კაცი.. გიშლის თუ არა, შენ და იმ კაცმა იცით და, როგორც გინდა, მარა... ჭამით კარგად ჭამე, მაგრად გამოძეხი!..

— მადლობა, ბატონო, გმადლობთ!..

კი მქონდა გაგონილი, ქართლ-კახეთში სტუმრისთვის არაფერი ეშურებოდათ, მაგრამ ზედმეტი პატიჟით და „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი" თავს არ აბეზრებდნენ (თუმცა ეს „მაგრად გამოძეხი!" ცოტა ქე მეხამუშა). მაგრამ არც მთლად ასე იქნება საქმე, ზნე-ჩვეულების გარდა, ხომ კაციცაა და გუნებაც-მეთქი! ამის შემდეგ, იმ ოჯახაშენებულმა მოიხადა მასპინძლის ვალი და ჩემკენ აღარც გამოუხედავს. ცოტა იყო იმ ღვთით კურთხეულ სუფრაზე სასეირო და თვალგასახარი, ჩემი ცქერით გუნება რომ არ წაეხდინა?!

თამადამ, ორი-სამი, ასეთ დროს ყოვლად აუცილებელი, სადღეგრძელოს შემდეგ, რატომღაც ჩემი სადღეგრძელო წამოიწყო.

ამ ამბავმა ახლა უკვე მეც დამაბნია — ჩემი პიესა რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ პიესა, ჩემი კი არა, ქართულიც არ იყო, გერმანულიდან გახლდათ ნათარგმნი. მთარგმნელი ქე მაინც ყოფილიყავი!.. ვაი შენ, ჩემო თავო!.. რას აპირებ ახლა? ვიუარო და გავასავსავო ხელფეხი, ვაითუ ეს არაა მიღებული თეატრალურ სამყაროში!.. არადა, თამადა რომ შეუვალია, ეს მეც ვიცი. სკამი უხმაუროდ გავწიე უკან და წელის წყვეტით წამოვდექი.

სადღეგრძელოს წამოწყებისთანავე, ჩემს წამოდგომამდე, კიკნაძემ ყურები ცქვიტა, ერთი კი მოხედა თამადას, მაგრამ აქეთ გედეონი და მე ვიყავით, იქით სტუმარ-მასპინძლის მთელი „არმია". ისიც ადგა და ჩაუსაფრდა, მაგრამ ვის და რატომ, ვერ მივხვდი. მერე აღარც მე მეცალა მისთვის — მადღეგრძელებელი უხვად იყო და მოსმენა და თავის კანტური მმართებდა.

„აბა, ახალგაზრდა, ნიჭიერი და" და, „აბა, იმედის მომცემი და..." „აბა, დრამატურგია ჭირს და...", „აბა, თეატრები შიმშილობს და...", „აბა, თუ ეცდები და დაგვაპურებ და...", „აბა, ჰე და აბა, შენ იცი!". ეს ჩემი მეზობელი კი გამეცადინებული ეძებს და ეძებს ვიღაცას, ჩემთვის სა სცალია, სულ შემაქცია ზურგი!..

ბოლოს განსვენებული ოთარ ეგაძე ადგა. მაშინ იგი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი გახლდათ. როგორც ყოველთვის, პეწენიკად, კინაღამ ფრაკში გამოწყობილი იყო. ჭიქა აიღო, გამომხედა და მრავალმნიშვნელოვანი პაუზა გააკეთა. გაისუსა სუფრა და ვამჩნევ ჩემი მეზობლის უცნაურ მოძრაობას. რაკი ბატონი ოთარი მაგიდის მეორე მხარეს, ჩვენგან ხუთიოდე კაცის იქითაა, წინწახრილი, კიკნაძის თავს ზევით გავსცქერი. კიკნაძემ ოთარს თვალი თვალში გაუყარა, მის მზერას გამოაყოლა და თავი ამოატრიალა. მე არ შევრჩი ხელში!.. ეს კი დავინახე, მაგრამ, სანამ ოთარმა სათქმელი არ მოამთავრა, თვალი არ მომიშორებია. ჯერი სამადლობელზე რომ მიდგა და ჭიქას დავწვდი, აგერ ჩემი მეურვე და მეზობელი ხომ არაფრის თქმას აპირებს, კაცაშვილის სადღეგრძელო რომ არ გამორჩენია არც უთქმელი და არც დაულეველი-მეთქი, გავიფიქრე და გვერდითა ცარიელ სკამს გადავხედე. სადღაა!.. ასე თვალსა და ხელს შუა, სა გაქრა-მეთქი, მაგრამ ამაოდ ველოდე!.. ჩემს სადღეგრძელოს რას დავეძებდი, სხვა იმდენი ზღვა ხალხი, სტუმარი და მასპინძელი დარჩა დაულოცველი და ღვინო — დაულეველი!..

გიზო ზარნაძე

ვახტანგ გოგუაძე: მინევ-მოწევის დროს ჯაბამ გამწარებით მოგაძახა: „ჩემი მოთრეულები ხართ ყველანი აქ, ხელისუფლებაში“-ო

მესამე გვერდიდან

წილად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირის სახელი, რომელიც ამ დღეებში თვითონ შეიქნა ტერორის მსხვერპლი. იგი მოკლეს ვენაში. ეს გახლდათ უაღრესად საინტერესო პიროვნება დავით სანიკიძე. მე მას სულ რამდენიმეჯერ შევხვედრივარ, მაგრამ საკმაოდ კარგი აზრი მჭონდა მის ღირსებებზე. გაცილებით ახლოს იყო იგი ბატონ ედუარდთან, მოსკოვში, საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ. ვინც იცნობდა მისი განათლებისა და გონიერების შესაძლებლობებს, დამერწმუნება, რომ იგი შევარდნაძეს და გოგუაძეს არათუ არ აკადრებდა, რომ შეხვეწნოდი — არ მოუყვებოდა თავის ქველმიჭობის შესახებ არაფერს. მას გაცილებით აინტერესებდა შენგან მეცნიერების, პოლიტიკის შენეული გაგება, შენთან საუბარი. არასოდეს წესიერი კაცი არ უნდა გაახვიო იმ საქმეში, რაც მისი საქმე არ არისო, — ამდაგვარი აზრი მისგან მენიშნა მრავალმნიშვნელოვნად. 4-5-ჯერ შევხვედრივარ მას. ბოლოს შევხვდი 1994 წლის 20 თუ 21 ნოემბერს, ვენაში. ერთსაათიანი საუბრიდან 40 წუთი იმაზე ოცნებას მოანდომა, როგორ გავიყვანოთ ბატონი ედუარდი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის პოსტზეო. ნურავის ეგონება ეს ხუმრობა, მან საკმაოდ ძნელი გზა-ბილიკები იცოდა. მაშინ ეს იყო შევარდნაძეზე შეყვარებული კაცი. მას შემდეგ არც ტელეფონით, არც სხვათა მიკითხვ-მოკითხვითაც არ მჭონია მასთან კავშირი. მაგრამ, ისტორია, ბიოგრაფია სამოსელი არაა, მოიხსნა და გადააგდო იგი. უნდა თქვა ის, რაც იყო, როგორც იყო.

ახლა უფრო ახლოს დავუბრუნდეთ ტერაქტის იდეოლოგიას. ოქტომბრის შუა რიცხვებია (გასული წელი). ტერაქტის სხვადასხვა სიუჟეტი ცნობისმოყვარეთა თემაა. ერთი მეგობარი ჟურნალისტი მირეკავს. ტრადიციული მიკითხვ-მოკითხვა. შემდეგ სხვადასხვა და ტერაქტის შესახებ. მან სხვათაშორის მითხრა, რომ ჩემი გვარიც ფიგურირებდა თურმე იმ გადატრიალების ხსნის კომიტეტის, თუ რა ვიცი, რაღაცაში.

— როგორ? როგორ და სპიკერს ხელს არ ახლებდნენ.

— მერე მე არ მეკითხებოდნენ?

— არა, შენ რა, ხომ არ შეგითანხმებდნენ...

იმ დღეს, ეროვნული მოძრაობის კიდევ ერთი ცნობილი და კოლორიტული ლიდერი მოვიდა სრულიად შემთხვევით, რაღაც საქმეები ჰქონდა. იმანაც სხვათაშორის ზუსტად ისე თქვა, რომ თქვენ ყველას უყვარხართ — ბატონო ვახტანგ, არც ისინი გერჩოდნენ, სპიკერად გტოვებდნენო. ვიცინეთ. მეორე დღეს სამსახურში რომ დავბრუნდი, შინაგან საქმეთა მინისტრს, შოთა კვირაიას დავურეკე.

— ბატონო შოთა, გუშინ ასე მითხრეს ჩემმა მეგობრებმა (გვარები არ მითქვამს), გაფიცებ ყველას, მითხარი, არ დამიმალო თუ რამეა, ჩემი ამბავი ხომ იცით, რომ ვიყო რაიმეს მონაწილე, იმის შნოცა მაქვს, რომ ვთქვა, შოთა კვირაია მეუბნება — ვინც ეს გითხრა, რატომ არ შეაგინეო.

ნახევარი საათის შემდეგ ვურეკავ შევარდნაძეს:

— ბატონო ედუარდ, რაჭველივით გვიან მომდის გული, ასე იყო, ასე იყო, ვუამბე ყოველივე და ვთხოვე, გაფიცებთ ყველას და ყველაფერს, მითხარით ყველაფერი. ჩემი ცხოვრების წესს განსაზღვავს: არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდეს. მე არანაირი საიდუმლოება არა მაქვს დასამალი.

— ვახტანგ, საიდან მოიტანე ეს. შენ ჩემი ახლობელი ხარ. ამის მაგვარი რამ რომ ყოფილიყო, გეტყოდი, — შენი საქმე არ არის პოლიტიკა, მეცნიერი კაცი ხარ, წადი და შენს მეცნიერებას მიხედეო. საერთოდ თუ ასეთნაირი ეჭვი გაჩნდება, ნუ დამიმალავ, არც მე დაგიმალავ, ვუთხრათ ერთმანეთს. ბატონი ედუარდის იმწუთიერმა გულწრფელობამ ლამის გული ამიჩუყა. გაკიდა ერთი კვირა, პეტერბურგში უნდა წავიდე, ასამბლეის საბჭოზე.

მე წინასწარ არ შევუთანხმე შუმეიკოს, რომ განცხადების გაკეთებას ვაპირებდი. მე-12 საკითხზე რომ მივედი, საკითხი ცოტათი ჩამოჰგავდა იმას, რასაც განცხადებას ვუკავშირებდი. უცბად ხელი ავწიე და სიტყვა ვითხოვე განცხადებისათვის და დავსძინე

„Еще одно последнее сказание
и летопись окончена моя”

ამ სიტყვებმა შეშფოთებაც გამოიწვია. არ დამავიწყდება კირილ ლავროვის, დიდი არტისტის, სახეც. გავაკეთე განცხადება, რომ გიორგაძე უნდა გადმოეცეს საქართველოს. ამ განცხადების ტექსტი რუსებისთვის სასიამოვნო არ გახლდათ. იმ დღეს საბჭოს არც ერთი სხვა საკითხი აღარ აინტერესებდა.

არ დაგიმალავთ და ბიჭობის, კაცობის ქართული გაგების თვალსაზრისით ჩემს ამ განცხადებას ახლდა რაღაც ხინჯი. რა თქმა უნდა, როგორც სახელმწიფო მოხელეს, მე მევალებოდა ეს გამეკეთებინა, მაგრამ უფრო პირადულმა დაკომპლექსებამ მიკარნახა ამის საჭიროება. ა, ბატონო, თუ რაიმეში ოდნავ მაინც ვარ გარეული. დეე თქვას, ვისაც ხელს ადებენ. ამის შემდეგ რა, ნამუსს შეგინახავენ თუ რა. საერთოდ, მე საიდუმლოებების დიდი იმედი არა მაქვს, არასოდეს არ ვაკეთებ იმას, თუ გაცხადდება იმ შემთხვევაში რომ შევრცხვე. შევარდნაძეს ერთი ბეწოთიც არ შეიძლებოდა ჩემში ეჭვი შეეტანა, მაგრამ თუ დასჭირდებოდა შეიძლება შეეტანა.

უფალო შენ განგვიკითხე!

გაგრძელება იქნება



თარაზულად: 1. პატარა მოთხრობა; 5. ქართველ კომუნისტთა ყოფილი თავკაცი; 9. ჩლიქზე დასაკრავი ფირფიტა; 10. ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 13. ისტორიული მხარე აღღესტანში (XVII საუკუნეში გაუდგა კახეთის სამეფოს); 15. ნაზი გრძნობების გამოხატვა; 17. ძველებური საომარი იარაღი; 18. ქუჩების, შენობების და მისთანების ძნელად გასაგნები განლაგება; 23. ახალციხის ფაშა (ჯაყელი), 1647-58 წლებში, რომლის დროსაც დაიწყო მესხ ფეოდალთა მასობრივი გამაჰმადიანება, ეკლესია-მონასტრების გაუქმება და სხვა; 24. სხეულის ნაწილი, თავის ტანთან შემაერთებელი; 27. მანქანა, რომელიც რაიმე ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ მუშაობად; 19. სოფელი დუშეთის რაიონში; 31. მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავდნენ; 32. ცნობილი ქართველი ოქრომჭედელი (XVI საუკუნე); 33. წვრილი ჩხირი, ფიჩხი (მოხეურად, ფშაურად); 34. მდგომარეობა, გარემოება, პირობები; 38. დათმობის, თანხმობის გამომხატველი შორისდებული; 39. ჯერ კიდევ გამოყენებელი შესაძლებლობები, რესურსები, ფინანსები... 42. კავშირი დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად (გრამატიკა); 43. ბრტყელპირიანი იარაღი, რკინისა; 45. რთული მანქანა, რამდენიმე მექანიზმის შემცველი; 48. შინაური ფრინველი; 48. ძველებური თოფი; 50. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები; 52. რაც ჩამოინგრა; 53. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 55. ხალხის შეკრებილობა რაიმე ღირსშესანიშნავი ან სასიხარულო ამბის, თარიღის აღსანიშნავად; 56. ქართველი მწერალი; 58. აბანოში ტანს ჰბანს კლიენტებს; 60. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 62. ცნობა, შეტყობინება რაიმეს შესახებ; 64. ლაქა კანზე; 65. გადამდნარი კარაქი; 67. ვინც პირობას არ ასრულებს; 68. გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი; 69. მცენარე, რომლის მერქანს ფართოდ იყენებენ მშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში; 71. რაც უნდა განახორციელონ, რისკენაც მიისწრაფვიან; 73. რისამე საერთო რაოდენობა; 75. სუსტი ქარი; 76. ბუნებრივი უნარი შემოქმედებისა კულტურის ამა თუ იმ დარგში; 77. უმცირესი ღირებულების ფიგურა ჭადრაკში; 79. საგრაფო დიდ ბრიტანეთში; 81. ლატვიის დედაქალაქი; 83. შემოკავებული მიწის ნაკვეთი საგანგებოდ დარგული ხილისათვის, ყვავილებისათვის... 85. ხვიარა ბუჩქი, რომლის ყლორტებს მხლად იყენებენ; 86. განყოფილება სამგზავრო ვაგონში; 87. განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (გრამატიკა); 88. ერთ-ერთი შეგრძნება; 89. კუნთების ენერგია — მოძრაობისა და მუშაობის წყარო.

შვეულად: 1. საწვავი სითხე; 2. ქალაქი საქართველოში; 3. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში; 4. ქართველი მომღერალი (დრამატული ტენორი); 6. ფანჯრის მინის, სარკის და მისთანების გასაწმენდი ქიმიური სითხე; 7. მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთი ბელადი და მასწავლებელი; 8. ქართული ანბანის ოცდამერვე ასოს სახელწოდება; 11. ქართველი მხატვარი; 12. სიახლედაკარგული და ამიტომ გაცვეთილი; 14. ბატანის მოგების დრო; 16. აკუსტიკური გამომსხივარი, რომლის მოქმედება ემყარება აირის ან სითხის ნაკადის პერიოდულ შეწყვეტას; 19. ქალაქი და ნავსადგური ინდოეთში; 20. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 21. საკერავი იარაღი; 22. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შუბლზე პატარა თეთრი ნიშნით; 25. წელიწადის დრო; 26. ავარიული დაჯახების ძალის შემასუსტებელი ბუფერი ავტომობილში; 28. ბიბლიური პერსონაჟი; 30. პატარა მდინარე მთებს შუა; 33. სოფელი მცხეთის რაიონში; 35. XII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი; 36. პარალელოგრამის სახე; 37. ბარით ან სახნისით მოჭრილი მიწის ნაკვეთი; 40. ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე; 41. ქალაქი გფრ-ში; 44. სკულპტურული გამოსახულება ბრტყელ ზედაპირზე; 46. ტუჩი, ანუ... 47. შტატი აშშ დასავლეთ ნაწილში; 51. ცხენზე მჯდომი; 54. ქალის თავსაბურავი; 57. სარწმუნოების შეურაცხმყოფელი, მწვალებელი; 59. ებრაელთათვის დამახასიათებელი, ესე იგი... 61. ალ.ჟორჟოლიანის კინოპერსონაჟი ფილმში „თოჯინები იცინიან“; 63. სტალინგრადის ძველი სახელწოდება; 66. ცნობილი რუსი პოეტი, სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, წარმოშობით ქართველი; 70. ნამი ანუ... 71. ოფიცრის წოდება; 72. ცხენის მსგავსი გარეული ცხოველი; 74. საჭმლის შესაკაზმი მცენარე; 77. რუსი პოეტი; 78. პოლკოვნიკ სეხნიევის როლის შემსრულებელი ფილმში „დათა თუთაშხია“; 80. ცნობების გავრცელება პოპულარიზაციის მიზნით; 82. მოკლე, გულამოთლილი მორი სხვადასხვა დანიშნულებისათვის; 84. ერთწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა (იზრდება ყანებში).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. პელოტა; 5. შეკელი; 8. ანტაგონიზმი; 9. ანანიაშვილი; 14. თამბაქო; 15. ერბო; 16. აპარატი; 17. საფრანგეთი; 20. დესპანი; 22. ბატარეა; 24. ფეტვიაშვილი; 26. მატრიარქატი; 27. ანკესი; 28. ულვაში.

შვეულად: 1. სერენადა; 2. ფლოტილია; 4. აქტი; 5. შივა; 6. მარდად; 7. კვანტი; 10. მორავიაჯ 11. ვედრება; 12. ჩონგური; 13. ფარობი; 18. თელავი; 19. მელიქი; 21. არიშიანი; 23. ტაშიტუში; 25. ინდი; 26. მანუ.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41